ბრძანება:**ბ47. 4723296001**
თარიღი:**23/10/2023**

ბრძანება N 95

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 30 ოქტომბერს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი კუჭავა

1.2. „ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 290.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ნ. დუმბაძის სახელობის პარკი, (ს.კ.28.01.21.718) ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების კატეგორიის სტატუსის დაკარგვისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების 2023 წლის დამატებითი ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 აგვისტოს N40 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში მდებარე, N28.09.24.462 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების (სასოფლო ამბულატორია) ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების კატეგორიის სტატუსის დამატებითი კატეგორიის სტატუსით ცვლილებისა და მისი სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი